ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2/230523/1

ქ.თბილისი **23 მაისი, 2023 წელი**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ #204525585 სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ **ი.მ. „არჩილ ცაგარელი“-ს** (შემდგომში მიმწოდებელი), სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ა. ცაგარელის ქ. N76, ბინა 29, პ/ნ 01010012227, ტელ: 558 370 033; სს „თიბისი ბანკი“ კოდი TBCBGE22, ა/ა GE67TB7069736010300120

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში **ვიდეორგოლის გადაღების მომსახურების (92111000 - მომსახურებები კინო და ვიდეოგადაღების სფეროში)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის 2023 წლის 28 აპრილის N40244-21-09 მოხსენებითი ბარათის და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1.2 შესყიდვის ობიექტია: საზოგადოების ინფორმირების მიზნით სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის შესახებ საიმიჯო ვიდეორგოლის გადაღების მომსახურება, რომელიც გააცნობს საბაჟო კონტროლის პროცედურებს და ყველა ახალი, გამარტივებული ელექტრონული სერვისებს, რაც მომხმარებლებისთვის დაინერგა.

1.3 შესყიდვის ობიექტიის ტექნიკური მახასიათებლები:

ა) ვიდეო გადაღებები განხორციელდება შემოსავლების სამსახურის წინასწარ შერჩეულ მოქალაქეთა მომსახურების სერვისცენტრებში, ასევე გაფორმების ეკონომიკურ ზონებსა და საბაჟო გამშვებ პუნქტებზე (საქართველოს მასშტაბით ჯამში 10 ლოკაცია).

ბ) გადაღებაში ჩართული იქნებიან საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები და მიმწოდებლის მიერ, შერჩეული მსახიობები (მიმწოდებელმა გადაღების პროცესში უნდა უზრუნველყოს მსახიობებისთვის პროფესიონალური ვიზაჟით უზრუნველყოფა).

გ) ვიდეორგოლის ხანგრძლივობა დაახლოებით 5/6 წუთი (ვიდეორგოლის შემოკლებული 6 ვერსიის ხანგრძლივობა დაახლოებით - 60/90 წმ).

დ) ვიდეორგოლი უნდა დამზადდეს კადრს მიღმა ხმით, ე.წ. Voice Over. ვიდეორგოლს უნდა ახლდეს ორიგინალური ავტორიზებული მუსიკა, რომელზეც მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს საავტორო უფლება.

ე) ვიდეორგოლის გავრცელება შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც სოციალურ ქსელში, ისე სატელევიზიო სივრცეში.

ვ) სარეკლამო კლიპის გადაღება უნდა განხორციელდეს 4K რეზოლუციით. მონტაჟი და ფერთა კორექცია უნდა მოხდეს უახლესი პროგრამებით და საჭიროების მიხედვით გამოყენებული იქნება უახლესი გრაფიკული ელემენტებიც. პროექტისთვის პრიორიტეტული კამერების დასახელებებია - BlackMagic, ARRI. ვიდეორგოლის გადაღებისას გამოყენებული უნდა იყოს არანაკლებ 1 (ერთი) კამერა, სასურველია - 4K - გაფართოების/სრული ოპტიკური აღჭურვილობით.

ზ) ვიდეოს გადაღება განხორციელდება RAW ფორმატში, გადაღების დროს (საჰაერო კადრებისთვის) გამოყენებული უნდა იყოს დრონი, აღჭურვილი 4K/60p 120 Mbps კამერით. ასევე, არანაკლებ 1 (ერთი) სატელევიზიო რელსი (ურიკა), ასევე არანაკლებ 1 (ერთი) სატელევიზიო ამწე მინიმალური სიგრძით 12 მეტრამდე. ვინაიდან 10 სხვადასხვა ლოკაციაა გადასაღები კომპლექტში უნდა შედიოდეს ამწეს აწყობის ყველა შესაძლო ვარიანტი (შიდა და გარე გადაღებები).

თ) ამასთან, ვიდეორგოლზე მუშაობისას უნდა განხორციელდეს გაფორმების ეკონომიკური ზონების/საბაჟო გამშვები პუნქტების/ელექტრონული სერვისების 3D ვიზუალიზაცია და გადაღებულ მოძრავ კადრებში რეალისტური ინტეგრაცია. ვიდეორგოლის გადაღების პროცესში ჩართული აუცილებელი მონაწილეებისთვის/მსახიობებისთვის პროფესიული ვიზაჟისტის მომსახურებით უზრუნველყოფა.

ი) საბოლოო პროდუქტი გადაღებული უნდა იქნეს უმაღლეს 4K ხარისხში.

კ) მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს: როგორც სრული ვიდეო რგოლის ვერსიის, ასევე მოკლე ვიდეო რგოლების მონტაჟი, გრაფიკა, მუსიკალური გაფორმება, ფერთა სრული კორექტირება.

ლ) სამუშაოების დაწყებამდე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს იდეური კონცეპციის/ვიდეო რგოლის სცენარის შემუშავება. ხოლო, შემსყიდველის მიერ დამტკიცებულ კონცეპციაზე უნდა ააგოს ვიდეორგოლი. დამზადებული/დასრულებული ვიდეორგოლი უნდა ჩაბარდეს 4K და Full HD გაფართოებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **10 000.00 (ათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს** ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1. პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული პროგრამული უზრუნველყოფის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

4. მიწოდების ვადები და პირობები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს **1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ვიდეორგოლის გადაღების მომსახურების გაწევა და შემსყიდველისათვის მიწოდება.

4.2 მომწოდებელმა ასევე უნდა უზრუნველყოს: მონტაჟი, გრაფიკა, მუსიკალური გაფორმება, ფერთა კორექტირება და გახმოვანება.

4.3 დასრულებული ვიდეორგოლი შემსყიდველს უნდა მიეწოდოს ელექტრონულად დისკით ან მეხსიერების ბარათით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2.იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.

5.3.იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა გაწეული მომსახურების მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება ვადა 3 (სამი) სამუშაო დღე.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).

5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად. მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში) გამოწერისა და წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.6 მიმწოდებელი ვალდებულია არ გამოიყენოს აღნიშნული ვიდეო რგოლე კომერციული მიზნებისთვის;

7.1.7 მიმწოდებელი ვალდებულია ვიდეორგოლებში გამოყენებულ მუსიკებზე გააჩნდეს სრული საავტორო უფლება;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი;

7.2.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო

მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად არ განხორციელდა მომსახურების გაწევა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების, ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მხრიდან განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა რომ ვიდეორგოლის გადაღების პროცესი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან/და დასრულებული ვიდეორგოლები არ შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტექნიკურ მოთხოვნებს ან/და დარღვეულია ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადები მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან დარღვეულია მე-7 მუხლის 7.1.6 ან/და 7.1.7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 20%-ის ოდენობით. ამასთანავე, აღნიშნული პუნქტების დარღვევით გამოწვეულ სრულ ზიანს აანაზღაურებს მიმწოდებელი.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2.საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური”**	**„მიმწოდებელი“** **ი.მ. „არჩილ ცაგარელი“**
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2023.05.23 18:22:57 +04'00'	_____
მიხეილ ახვლედიანი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	**არჩილ ცაგარელი** ინდივიდუალური მეწარმე